



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოშაძე ლერი პავლეს ძე

გოშაძე ლერი პავლეს ძე (დ. 11. XII. 1935, თბილისი), არქიტექტორი. საქართველო. დამს. არქიტექტორი (2005).

1962 დაამთავრა საქართველო. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკულტეტი (სპეციალობით – არქიტექტურა). 1960–63 მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში „საქქალაქმშენსახპროექტი“, 1963–67 – საკავშირო საპროექტო ინ-ტის „სოიუზკურორტპროექტის“ საქართველო. ფილიალში არქიტ. ჯგუფის ხელმძღვანელად. 1967–98 – კვლავ „საქქალაქმშენსახპროექტში“ პროექტის მთავარ არქიტექტორად, 1999-იდან 2005-მდე – შპს „თბილქალაქპროექტის“ ქალაქგეგმარების სამმართველოში ჯგუფის ხელმძღვანელად. 2005 იყო საქართველო. ეკონომიკის სამინისტროს სამშენებლო პროექტების სახელმწ. ექსპერტიზის სამმართველოს განყოფილების გამგე.

ძირითადი ნამუშევრები: რუსთავის გენგეგმა (1967, ლ. სუმბაძესთან, მ. მელიქიძე-ვილთან, შ. ბალაშვილსა და თ. წერეთელთან ერთად); მესტიის გენგეგმა (1973, ბ. გაბუნიასთან ერთად); ზუგდიდის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენგეგმა (1977, თ. ლომთაძესა და ზ. ჟვანიასთან ერთად); ექსპერ. მიკრორაიონი ბათუმში (1977, გ. გეგეშიძესთან, ნ. მაღლაკელიძესთან ერთად); ქუთაისის გენგეგმა (1978, ზ. ქურდიანთან, ნ. მიქაძესთან, ა. ლომთაძესა და თ. ლომთაძესთან ერთად); ქალაქ-კურორტის გაგრის გენგეგმა (1979, ნ. მიქაძესა და ე. ბაგრატიონთან ერთად).
